



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### დიასამიძე ბიჭიკო რაფიელის ძე

დიასამიძე ბიჭიკო რაფიელის ძე (დ. 25. XII. 1940, სოფ. კვიახიძეები, ახლანდ. შუახევის მუნიციპალიტეტი ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1999), პროფესორი (2000). 1969 დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტი. 1970-92 მუშაობდა ამავე ინ-ტში, 1992-97 - უნივერსიტეტში სხვადასხვა სამეცნ. და საზ. თანამდებობებზე; 2009-იდან არის იმავე უნ-ტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის სრული პროფესორი, 2010-იდან - პროფესორ-ემერიტუსი. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. მონოგრაფია „ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I-Xსს.)“. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

---